ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/დ 436-12 11 06 2012 წ.

დადგენილება №000005
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.06.2012წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2012 წლის 11 ივნისის №000005 შემოწმების აქტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, შედგენილი შ.პ.ს. "მარიჯანი"-ს (მის.: ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში შ.პ.ს. "მარიჯანი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო-საყოფაცხოვებო და ოფისები) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ №20/693 14.08.2006 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე შეცვლილია ღიობების და აივნების გაბარტები და რაოდენობა, ასევე მათ მონაცვლებული აქვთ ადგილი. -4.20 ნიშნულზე „6-5" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი, კედელი გადაწეულია, დაახლოებით 0.4მ-ით, მოწყობილია „6-6" ღერძის გარეთ და გაზრდილია ფართი, დაახლოებით 14მ²-ით. მეორე სინათლეების ქვეშ „3-5" და „11-13" მონაკვეთებში ფილებში მოწყობილია ავზები (ესკალატორის სამანქანოს განსათავსებლად). „კ-ი" „თ-ზ" და „მ-ლ" მონაკვეთებში შეცვლილია შიდა კიბის კონფიგურაცია. „5-6" მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტი. „15-15" ღერძის გარეთ დამატებულია კოლონები, გადაწეულია გარე კედელი და გაზრდილია ფართი, დაახლოებით 110მ²-ით. „პ-პ" ღერძზე დამატებულია კოლონები. +0.00 ნიშნულზე „1-1" და „15-15" ღერძების გარეთ დამატებულია კოლონები. ასევე „თ-თ" „6-6" და „15-15" ღერძზე დამატებულია კოლონები. „ლ-კ" და „კ-ი" მონაკვეთებში შეცვლილია მეორე სინათლის ღიობების ფორმა. +4.20 ნიშნულზე „6-6" და „თ-თ" ღერძების გარეთ გაზრდილია ფილის გაბარიტი, დაახლოებით 0.3მ-ით. მოწყობილია ანტესოლები (სიმაღლე 3.10მ), დამატებულია თერთმეტი კიბე და გაზრდილია საერთო ფართი, დაახლოებით 2200მ²-ით. +10.40 ნიშნულზე „კ-კ" ღერძზე და „2-2" ღერძის გარეთ დამატებულია კოლონები. გაზრდილია ფილის გაბარიტი „ო-ო" ღერძის გარეთ, დაახლოებით 0.3მ-ით. „ო-ო" და „2-2" ღერძის

კვეთაზე ოთკუთხედი კოლონის ნაცვლად მოწყობილია მრგვალი კოლონა. +13.70 ნიშნულზე „8-15" მონაკვეთში გაზრდილია ფილის გაბარიტი, დაახლოებით 300მ²-ით. +33.50 ნიშნულზე „გ-გ" და „ბ-ბ" ღერძებს შორის გაუქმებულია ორი შიდა კიბის ღიობი. „ლ-ლ" და „გ-გ" ღერძებს შორის, ასევე „5-5" და „8-8" ღერძებს შორის სამანქანოების ნაცვლად მოწყობილია ტიპიური სართული და გაზრდილია ფართი, დაახლოებით 5.70მ²-ით. +40.60 ნიშნულზე „გ-გ" და „ა-ა" ღერძებს შორის სამანქანოს ნაცვლად მოწყობილია ტიპიური სართული და გაზრდილია ფართი, დაახლოებით 120მ²-ით. ფილაში დამატებულია ორი ღიობი (თითო 1.5მX1მ.) +43.40 და +40.10 ნიშნულებზე „2-2" და „ო-ო" ღერძების კვეთასთან ფილაში შევსებულია ღიობი. +46.70 ნიშნულზე ფილაში შევსებულია პროექტით გათვალისწინებული ღიობები, შეცვლილია ფილის კონფიგურაცია. +50.30 ნიშნულზე სამანქანოს ნაცვლად მოწყობილია ტიპიური სართული და გაზრდილია ფართი, დაახლოებით 50მ²-ით. +53.00 ნიშნულზე მოწყობილია სამანქანო.

2012 წლის 11 ივნისს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000005 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ". საქმეშია, მხარის განცხადება №12/77631-16 04.06.2012წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "მარიჯანი"-ს მიერ ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში შ.პ.ს. "მარიჯანი"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო-საყოფაცხოვებო და ოფისები) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ №20/693 14.08.2006 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "მარიჯანი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "მარიჯანი"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "მარიჯანი"-ს დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი **ზ. კერვალიშვილი**

KSB კორ სტანდარტ ბანკი

კორ-სტანდარტ ბანკი, ქ. თბილისი 0103, ქ.წამებულის 3
ტელ: (995 32) 507700, 507711
ფაქსი: (995 32) 507707

საგადასახადო დავალება N 201388

თარიღი 10.07.2012

თანხა	
4,000.00	
GEL	

საიდენტ. კოდი **205064712** ანგარიში (დებეტი) **GE37KS0000000004189387**

გადამხდელის დასახელება **შპს "მარიჯანი"**

გადამხდელის ბანკი **სს "კორ სტანდარტ ბანკი"** ბანკის კოდი **KSBGGE22**

გადასახადოს გადამხდელის დასახელება **შპს "მარიჯანი"**

საიდენტ. კოდი 205064712

მიმღების დასახელება **ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თბილისი)**

საიდენტ. კოდი ანგარიში (კრედიტი) **200122900**

მიმღები ბანკი **ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"**

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი **300773263** ბანკის კოდი **TRESGE22**

გადახდის დანიშნულება **დადგენილება #000005 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმია**

დამატებითი ინფორმაცია **დადგენილება #000005 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე**

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 10.07.2012

გატარებულია ბანკის მიერ: 10.07.2012

AGREGE22 1

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____

მთ. ბუღალტერი _____

ბ.ა.